# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 118. ხუთშაბათი, 15 მაისი 1903 წ. გაზეთის № 2142.

4 მანეთი და 50 კაპ. ღირს ყოველ დღიური გაზეთი ცნობის ფურცელი კვირაში ორის სურათებიანის დამატებით, 1 მაისიდან წლის დამლევამდე.


## ბძელი ენა

ა. ჩეხოვისა.

ნატალია მიხაილოვნა, ახალგაზდა ქალი, დილას იალტიდან მოსული სადილობდა და ენას არ აყენებდა, ქმარს სულ ყირიმის სხვა-და-სხვა სიმშვენიერეს უამბობდა. გახარებული ქმარიც სიამოვნებით შესცქეროდა იმის აღტაცებულ სახეს, ყურს უგდებდა და თანაც დრო-გამოშვებით ეკითხებოდა რამეს.

— ამბობენ, იქ ცხოვრება მეტად ძვირიაო.—ჰკითხა სხვათა შორის, ქმარმა.

— როგორ გითხრა! ჩემის აზრით, ცხოვრების სიძვირე გაუზვიადებიათ, ჩემო კარგო. ეშმაკი საშიში ისე არ არის, როგორც ჰხატავენ. მე, მაგალითად, იულია პეტროვნასთან მომცრო და თვალსაჩინო ოთახი დღე და ღამეში ოც მანეთად მქონდი დაქირავებული. ყველაფერი, ჩემო კარგო, ცხოვრეიის უნარზეა დამყარებული რასაკვირველია, თუ სადმე მთებში მოისურვებ გასეირნებას... მაგალითად აი-პეტრში... ცხენს იქირავებ, გზის მაჩვენებელს წაიყვან,—მაშინ, რასაკვირველია, ძვირია. საშინლად ძვირია! მაგრამ, ვასია, რა მთებია! წარმოიდგინე მაღალი, მაღალი მთები, ათასჯერ უფრო მაღალი, ვიდრე საყდარია... მაღლა ბურუსია, ბურუსი, ბურუსი... ძირს დიდად დიდი კლდეები... და პინიის ხეები... ახ, ძვირადა ღირს მოგონება.

— მართლა... აქ რომელიღაც ჟურნალში წავიკითხე იქაურ გზის მაჩვენებელ თათრებზე... ისეთი სისაძაგლეა! განა, მართლა ისინი სხვა რამ შესამჩნევი ხალხია?

ნატალია მიხაილოვნას მძულვარების ღიმილმა გადაჰკრა სახეზე და თავი გაიქნია.

— საზოგადოდ თათრები არიან, არაფრით განირჩევიან... უპასუხა ცოლმა. — მართალია, შორიდან დამინახავს ისინი, ერთი წამით დამანახვეს მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია... ყოველთვის, ჩემო კარგო, რაღაც წინად მგრძნობიარობა მქონდა ჩერქეზებისა, ბერძნებისა... მავრების შესახებ!..

— ამბობენ, ქალების დიდი მოარშიყენი არიანო!

— შესაძლებელია! არიან საძაგლები, რომელნიც...

ნატალია მიხაილოვნა უცბად წამოხტა, თითქოს საშიში რამ მოაგონდაო, ქმარს ნახევარ წამს შეშინებულის თვალებით შესცქეროდა. მერე უთხრა:

— ვასიაჯან, უნდა გითხრა, ზოგიერთები ძალიან უსინიდისოები არიან! ოჰ, რა უსინიდისოები! არ გეგონოს კი, რომ საშუალო ოჯახის ქალები იყვნენ, არა, ისინი არიან ვითომ საუკეთესოდ აღზრდილ და გამოჩენილ საზოგადოების ქალები. საშინელებაა, თვალებს არ ვუჯერებდი! სიკვდილამდის არ დამავიწყდება! განა შესაძლებელია, იქამდის თავის დავიწყება, რომ... ოხ, თქმაც კი მეძნელება! ავიღოთ გინდა ჩემი მო-



ზღვის პირას.—სურათი ბლანსისა

გზაური იულია პეტროვნა... ისეთი კარგი ქმარი ჰყავს, ორი შვილი... კარგ საზოგადოებას ეკუთვნის, თავი ყოველთვის წმიდანად მოაქვს და მოულოდნელად, ვერ წარმოგიდგენია... სიტყვას მაძლევ, რომ არავის ეტყვი?

— შენგან არ მიკვირს! რასაკვირველია, არ ვიტყვი...

— მაშ პატიოსან სიტყვას იძლევი? გახსოვდეს! გენდობი...

ცოლმა ჩანგალი დასდო. იმისი სახე საიდუმლოებამ მოიცვა—ნელის ხმით დაიწყო:

— წარმოიდგინე, ასეთი რამ... ერთხელ იულია პეტროვნა მთებში წავიდა... მშვენიერი ამინდი იდგა! მიდიოდა გზის მაჩვენებელთან ერთად, ცოტად უკან მე მივსდევდი. სულ სამი ოთხი ვერსი გავიარეთ, უცბად, გესმის ვასია, იულიამ შეჰკივლა და გულზე ხელი იტაცა. თათარს რომ წელზე ხელი არ ეტაცნა, უნაგირიდან გადმოვარდებოდა... მეც ჩემის გზის მაჩვენებლით მივუახლოვდი... რა მოგივიდა, რა ამბავია-მეთქი, ვკითხე. „უჰ, ჰყვიროდა, ვკვდები! ფინთადა ვარ! აღარ შემიძლიან წასვლა.“ უნდა იცოდე, რანაირად შემეშინდა! მაშ უკან წავიდეთ, ვუთხარი!—„არა, მეუბნებოდა, Natalie, უკან წასვლა არ შემიძლიან! ერთი ნაბიჯიც რომ კიდევ გადავდგა, უეჭველად მოვკვდები ტკივილებისაგან! საშინელი ქარები ამეშალა!“ თან მეხვეწებოდა, მევედრებოდა, ღვთის გულისათვის, მე და ჩემი სულეიმანი უკან ქალაქში დავბრუნებულიყავით და ბესტუჟევის წამალი მიგვეტანა, რომელიც ჰშველოდა.

— მოიცა, კარგად არ მესმის...—წაიბუტბუტა ქმარმა, შუბლის ფხანვით.—წინად ამბობდი, რომ მხოლოდ შორიდან დაინახე ის თათრები, ეხლა კი ვიღაცა სულეიმანზე ლაპარაკობ.

— აკი გითხარ, ეხლა დაიხვევს სიტყვას ხელზე! მოიღუშა ცოლი, რომელიც ოდნავადაც არ შემკრთალა.—საშინლად მძულს იჭვიანობა! მძულს! სიტუტუცეა, მხოლოდ სიტუტუცე!

— ხელზე კი არა, მაგრამ... რატომ სიმართლეს არა ლაპარაკობ? თათრებთან გისეირნია, რა ვქნა, ასე იყოს, ღმერთმა გიშველოს, მაგრამ... რაღას წუწუნებ?

— ჰმ... რა კაცია!—აღელვდა ახალგაზდა ცოლი.—სულეიმანზე ეჭვიანობს! ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა წახვიდე გზის უმაჩვენებლოდ მთებში! ვერ წარმომიდგენია! იქაური ცხოვრება არ იცი, არ გესმის და სჯობს დაჩუმდე, დაჩუმდე, დაჩუმდე. უმაჩვენებლოდ იქ ფეხის გადადგმაც არ შეიძლება.

— რასაკვირველია!

— თუ ღმერთი გწამს, მაგ ტუტუცურ ღიმილს დაანებე თავი! მე ვიღაცა იულია არ გეგონო... მე იმას არც ვამართლებ, მაგრამ ჩემზე სსუ!.. მართალია, ჩემ თავს წმიდანად არა ვთვლი, იქამდის თავი არ დამვიწყებია... სულეიმანისთვის არაფრის ნება არ მიმიცია... არა, არა! მამედ-ყული, მართალია, დიდხანს იჯდა ხოლმე, მაგრამ მე კი, როდესაც საათი თერთმეტს დაჰკრავდა ხოლმე, მაშინვე ვეტყოდი: „სულეიმან, გასწი! წადი!“ და ჩემი ტუტრუცუნა თათარიც მიდიოდა. ის, ჩემო კარგო, ხელში მაგრად მყავდა... როდესაც ბუტბუტს დაიწყებდა ფულზე ან სხვა რამეზე, იმწამსვე შევძახებდი: „როგორ? რა-ა? რა-ა-ა?“ ამ დროს გონება ეკარგებოდა .. ჰა, ჰა, ჰა... თვალები, გესმის, შავი, შავი, როგორც კუპრი, სახე თათარს ისეთი ტუტუცური, სასაცილო ჰქონდა... აი, როგორ მეჭირა! აი!

— საფიქრებელია...—წაიბუტბუტა ქმარმა, თანაც პურის გულს დაუწყო გუნდაობა.

— სიტუტუცეა, ვასილ! კარგად ვიცი, რა აზრებიცა გაქვს! ვიცი რასაცა ჰფიქრობ... მაგრამ გარწმუნებ, ნება არ მიმიცია, რომ სეირნობის დროს მაინც წრეს გადასულიყო. მაგალითად, მთებში მივდიოდით თუ წყალვარდნილ ჩან-სუ-სთან, ყოველთვის ვეუბნებოდი: „სულეიმან, უკან მომყე! ჰა!“ ისიც ყოველთვის უკან მომდევდა ხოლმე, საწყალი... იმ დროსაც კი... სასიამოვნო ადგილებზედაც კი ვეტყოდი ხოლმე: „მაინც შენ არ უნდა დაივიწყო, რომ მხოლოდ თათარი ხარ, და მე კი „სტატსკი სოვეტნიკის ცოლი!“ ჰა, აჰ, ჰა!

ახალგაზდა ცოლმა გადაიხარხარა, შემდეგ უცბად მიიხედმოიხედა, სახეზე რაღაცა შიშის ბეჭედი დაესვა და ოდნავ დაიწყო:

— მაგრამ, იულია! ოჰ, ის იულია! კარგად მესმის: რატომ არ უნდა იხუმროს, ვითომ რატომ არ უნდა დაივიწყოს დროებით სოფლის არარაობა? ყველაფერი შეიძლება... ცელქობა, დიდის სიამოვნებით, ამაზე ვინ დაგძრახავს, მაგრამ სერიოზულად... ალიაქოთის ატეხა... არა, რაც გინდა სთქვი და არ მესმის! წარმოიდგინე, ჩემზე იჭვიანობდა! აბა, სიტუტუცე არ არის? ერთხელ მამედყული იმასთან მოვიდა... სახლში არ დაუხვდა... მე ჩემთან დავუძახე... დავიწყეთ ლაპარაკი, ამ მთისა, იმ მთისა... იცი, ისინი ძალიან ოხუნჯები არიან! საღამო შეუმჩნევლად გავატარეთ... შემოვარდა უცბად იულია... ჯერ მე მეცა მერე მამედყულის... აგვიტეხა ალიაქოთი... ფუ! ასეთი ქცევა არ მესმის.

ვასილმა ჩაახველა, შუბლი შეიღუშა და ოთახში სიარული დაიწყო.

— უნდა გითხრა, რომ მხიარულად გაგიტარებია დრო!—წაიბუტბუტა ქმარმა, თანაც ბრაზ-მორეულმა გაიღიმა.

— აბა, ტუტუცობა არ არის?—იწყინა ნატალია მიხაილოვნამ—ვიცი რაზედაც ჰფიქრობ! ყოველთვის ეგეთი აზრები გქონდა! ამის მეტად აღარაფერს გიამბობ, აღარაფერს!

ახალგაზდა ცოლმა ტუჩები მოკუმა და გაჩუმდა.

ალ. სააკაშვილი

# რეპეტიტორი

ან. ჩეხოვისა.

მეშვიდე კლასის გიმნაზიელმა ეგორ ზიბეროვმა გაუწოდა ხელი პეტრე უდოდოვს. პეტიამ, თორმეტის წლის ბავშვმა, ნაცრის ფერ ტანისამოსში გამოწყობილმა, მსუქანმა წითელლოყიანმა, პატარა შუბლიანმა და აბურძგვნილ თმიანმა, ჩამოართვა ხელი და რვეულების მოსატანად შკაფისკენ წავიდა. გაკვეთილი დაიწყო.

თანახმად პირობისა, რომელიც მამამ დაუდო, ზიბეროვს უნდა ემეცადინა პეტიასთან ყოველ დღე ორ-ორი საათი, რისთვისაც იღებდა თვეში ექვს მანეთს. უნდა მოემზადებინა გიმნაზიის მეორე კლასისთვის (შარშან ამზადებდა პირველ კლასისთვის, მაგრამ პეტიამ ეგზამენი ვერ დაიჭირა).

— აბა...—დაიწყო ზიბეროვმა პაპიროსის წევით.—თქვენი გაკვეთილია მეოთხე ბრუნვა. აბა, სიტყვა fructus...

პეტიამ დაიწყო.

— კიდევ?—სთქვა ზიბეროვმა და წამოდგა.—მეექვსედ გაძლევთ ერთსა და იმავე მეოთხე ბრუნვას, თქვენ კი ყურსაც არ ანძრევთ! მითხარით ერთი, როდის დაიწყებთ გაკვეთილების სწავლას?

— კიდევ არ დაუსწავლია?—მოისმა ხრინწიანი ხმა და ოთახში შემოვიდა პეტიას მამა, საგუბერნიო გამგეობის დათხოვნილი მდივანი უდოდოვი.—კიდევ? რატომ არ ისწავლე? ოჰ, შე ღორო, ღორო! არ დაიჯერებთ, ეგორ ალექსეიჩ, გუშინ კინაღამ ტყავი გავაძვრე!..

უდოდოვმა მძიმედ ამოიქშინა და შემდეგ დაჯდა ფანჯარასთან. ზიბეროვმა მამასთან დაუწყო გამოცდა პეტიას. „დაე, სულელმა მამამ იცოდეს, როგორი ბრიყვია იმისი შვილი!“ ჰფიქრობდა გიმნაზიელი და თან ცხარდებოდა. სძულდა, ვერ იტანდა წითელ-ლოყიან რეგვენს, მზად იყო გაელახა. გულიც კი მოსდიოდა, როდესაც ანაზდეულად ბავშვი პასუხს უგებდა. ოჰ, როგორა სძულდა ეს პეტია...

— თქვენ არც მეორე ბრუნვა იცით! არ იცით პირველიც! აი, როგორა სწავლობთ! აბა, მითხარით როგორ იქნება მიცემითი ბრუნვა meus filius-ისა?

— Meus filius... Meus filius... ეს იქნება... იქნება.

დიდ ხანს უყურებდა პეტია კედელს და უფრო დიდ ხანს ამაცუნებდა ტუჩებს, მაგრამ პასუხს კი ვერ ახერხებდა.

— აბა, როგორ იქნება dea მრავლობითი რიცხვი მიცემით ბრუნვა?

— Deabus... filiabus!—მოუჭრა პეტიამ.

მოხუცმა უდოდოვმა სიამოვნების ნიშნად თავი გააქნია. გიმნაზიელს, რომელიც არ მოელოდა ამ გვარ პასუხს, გული მოუვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაკედონიის ამბები



სახელმწიფო ბანკი აფეთქების შემდეგ



ოსმალეთის პოლიცია სჩხრეკავს ბოლგარელების დუქანს



დაპატიმრება ამფეთქებლისა.



სალონიკის სახელმწიფო ბანკის აფეთქების შემდეგ. გამომძიებელნი

— კიდევ რომელ არსებით სახელსა აქვს abus?—ჰკითხა იმან.

თურმე სიტყვას „anima-სული“ მიცემითში abus აქვს, რაც ძოხსენებული არა აქვს კიუნერს თავის გრამატიკაში.

— ტკბილი ენაა ეს ლათინური!—შენიშნა უდოდოვმა.—ალონ... ტრონ... ბონუს... ანტროპოს... უჰ, რა სიბრძნეა! და ყველა ეს ხომ საჭიროა!—სთქვა ქ'ჲენით უდოდოვმა.

„მიშლის ეს ძროხა მეცადინეობას!—ჰფიქრობდა ზიბეროვი:—დადგა აქ და ზედამხედველობს... ვერ ვითმენ კანტროლობას!“

— აბა!—მიუბრუნდა პეტიას, ხვალისთვის ლათინურში იგივე დარჩება. ახლა არითმეტიკა... აიღეთ დაფა. რომელია შემდეგი ამოცანა?

პეტიამ დააფურთხა დაფას და სახელოთი გაწმინდა. მასწავლებელმა აიღო საამოცანო წიგნი და დააწერინა: ვაჭარმა იყიდა 138 არშ. შავი და მწვანე მაუდი 540 მანეთად. რამდენი არშინი იყიდა იმან ორივე ფერის მაუდი თუ მწვანე ღირს 5 მან. და შავი 3 მან.

— განიმეორეთ ამოცანა!—დაუმატა.

პეტიამ გაიმეორა და ხმის ამოუღებლივ შეუდგა 540 გაყოფას 138-ზე.

— ამას რისთვისა შვრებით? რადა ჰყოფთ? მოითმინეთ! მაგრამ, ჰო, განაგრძეთ... რჩება რამე? აქ მთელი რიცხვი უნდა გამოვიდეს! მოიტათ, მე გავყოფ!—ზიბეროვმა გაჰყო, მაგრამ სამი გამოვიდა კუდით, ამიტომ სწრაფად წაშალა.

„ჰმ! საკვირველია.—ჰფიქრობდა ზიბეროვი, თან თმაზე ხელს ისვამდა და წითლდებოდა. რატომ არ გამოდის? ჰმ! ეს ამოცანა ალგებრიულ შეთანხმებით კეთდება და არა არითმეტიკულად“......

მასწავლებელმა გადაშალა ფურცლები და დაინახა რომ 75 და 63 უნდა გამოვიდეს.

„ჰმ!.. საკვირველია... შევაერთოთ 5 და 3 და შემდეგ 8-ზე გავყოთ 540? ასეა მგონი! მაგრამ არა!“

— აბა... იანგარიშეთ!—უთხრა პეტიას.

— ეეეჰ! რაღას ჰფიქრობ? ამოცანა ხომ მეტად ადვილია? უთხრა უდოდოვმა შვილს.—ეჰ, შე ბრიყვო! ეგორ ალექსეიჩ უანგარიშეთ ეს ამოცანა!

ეგორ ალექსეიჩმა აიღო დაფა, დასწერა და წაშალა. გაწითლდა, ფერი დაეკარგა და ენა დაება.

— ეს ამოცანა ალგებრიულია!—სთქვა ბოლოს.—„იქსი“ და „იგრეკით“ შეიძლება გაკეთდეს მაგრამ, ჰო... ისედაც შეიძლება ვიანგარიშოთ. მე ეს გავყავი ... გესმით?—ახლა უნდა გამოაკლოთ... გესმით? ან და აი რა... დაჯექით და გამოიყვანეთ ეს ამოცანა თქვენ თვითონ ხვალისთვის... ჩაუფიქრდით...

პეტიამ ირონიულად ჩაიცინა. უდოდოვსაც გაეცინა. ორივეს კარგად ესმოდა, რომ მასწავლებელი დაიბნა. მეშვიდე კლასის მოსწავლეს კიდევ უფრო შერცხვა, წამოდგა და დაიწყო ოთახში სიარული.

— უალგებროდაც შეიძლება ანგარიში!—სთქვა უდოდოვმა და თან გაუწოდა ხელი საანგარიშო კოჭებს. აი, შეჰხედეთ...

დაიწყო კოჭე ის რაკუნი და გამოიყვანა 75 და 63, არც საჭირო იყო.

მასწავლებელს მეტის-მეტად შერცხვა გულის კანკალით ჩაიხედა საათში და დაინახა, რომ გაკვეთილის გათავებამდის რჩებოდა კიდევ 1 ს. და 15 წ.—მთელი საუკუნე.

— ახლა წერა...

წერის შემდეგ გეოგრაფია, გეოგრაფიის მერე სამღვთო სჯული, შემდეგ რუსული. ბოლოს გათავდა გაკვეთილი.

ზიბეროვმა აიღო ქუდი, ჩამოართვა ხელი პეტიას და გამოემშვიდობა უდოდოვს.

— არ შეგიძლიანთ, დღეს მომცეთ ცოტაოდენი ფული?—მორცხვად სთხოვა.—ხვალ უნდა სასწავლებელში შევიტანო... თქვენ უნდა მომცეთ ექვსი თვისა...

— მე? აჰ... დიაღ... დიაღ!—ლუღლუღებდა უდოდოვი და არ უყურებდა ზიბეროვს.—სიამოვნებით! მხოლოდ ახლა არა მაქვს .. ასე ერთი-ორი კვირის შემდეგ...

ზიბეროვმა თანხმობა განაცხადა, ჩაიცვა მძიმე ჭუჭყიანი კალოშები და გასწია მეორე გაკვეთილზე.

დ. გგაჩაგა.



ქალი.—ხომ კარგად იცით რომ გაგიგიჟებით მიყვარხართ?...
ქალი.—ვიცი, მაგრამ ამაზედ ვილაპარაკოთ როდესაც მიიღებთ თქვენი ბიძის მემკვიდრეობას.



ქმარი.—შენ სტუუი! მთელი დღე სავაჭროდ დადიოდი?
ცოლი.—საღამოზე ანგარიშებს რომ წარმოგიდგენენ, მაშინაც არ დაიჯერებ?...

(უცხოეთის ჟურნალებიდან



— ვინ დაიჯერებს, რომ ეს ორნი ხუთი წუთის წინ ერთმანეთს სრულიად არ იცნობდნენ!

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.